ყოველ-კვირეული სამეურნეო საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი

სასოფლო გაზეთი

№ 19 1920 წ. ორშაბათი, ღვინობისთვის 25-ს, წელიწადი პირველი № 19

ფასი 10 მან.

გაზეთს აქვს შემდეგი განყოფილებანი:

საშინაო და საგარეო პოლიტიკა, მებაღეობა და მევენახეობა, მესაქონლობა, ვაჭრობა მრეწველობა, კოოპერაცია, სახალხო განათლება, სახალხო მკურნალობა. სასოფლო ცხოვრება, სიტყვა კაზმული მწერლობა და სხვა.

„სასოფლო გაზეთში“

მონაწილეობას იღებენ მცოდნე სპეციალისტები, ცნობილი მწერლები და გამოცდილი მეურნენი. რედაქცია თავის მკითხველებს მიაწვდის რჩევას და დარიგებას იურიდიულ სამკურნალო და სამეურნეო საკითხებში. ——— **გაზეთის ფასი თვიურად 40 მან. თითო № 10 მან** ——— კონტორა ღიაა ყოველ დღე დილის 9—2 საათამდე, მისამართი რუსთაველის პროსპ. № 11, გაზეთ. „საქართველო“-ს ბინაზე.

სომხეთი და საქართველო

ჩვენმა მკითხველებმა უკვე კარგად იციან, რომ სომხეთს შეესია ოსმალეთის ჯარები და მის დამოუკიდებლობის მოსპობას ლამობენ, ქართველი ხალხის სიმპატიები იმ თავითვე სომხეთისაკენ გადაიხარა და საქვეყნოთ განაცხადა თავის გულისწყრომა ამ ამაღელვებელ ძალადობის გამო.

საქართველოს მოქალაქენი, ადგილობრივი სომხები, მოხალისეებად ჩაეწერნენ სომხის ჯარში და ამის გამო საქართველოს მთავრობას წინააღმდეგობა არ გაუწევია, თუმცა შეეძლო, რომ თავის ქვეშევრდომნი სხვა სახელმწიფოს დასაცავად არ გაეგზავნა და ეს ცოცხალი ძალა თავის ეროვნულ ენერგიისათვის არ მოეკლო, იგი შემდეგისთვის შეენახა.

წინააღმდეგ, ქართველი ხალხი ამ მორალურ დახმარების გარდა დაეხმარა კიდევ სხვა მხრითაც, რასაც უეჭველად დიდი მნიშვნელობა აქვს და სხვა სახელმწიფო, რომ ყოფილიყო სომხეთის ადგილას, იგი უეჭველად დიდი მადლობით მოიხსენიებდა ასეთ კეთილ მეზობლურ განწყობილ სახელმწიფოს, დიდ დახმარებას, მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ სომხეთის მართველ წრეებში ამას ვერა ვხედავთ,

სომხური გაზეთი „არაჩი“ ამ საკითხის შესახებ ვრცელ წერილსა სწერს მეთაურად, სადაც აშკარა არა მეგობრული კილო სჩანს და აღნიშნავს რომ საქართველო და მისი მთავრობა მარტო ლამაზ სიტყვებსა ჰხარჯავსო და ამით ეხმარება დღეს გაჭირვებულ სომხის ერსაო და მოითხოვს, რომ საქართველომაც იარაღი აისხას და ჩვენი სამშობლოს შვილნი კიდევ ბრძოლის ველად იყვნენ გაყვანილნი ოსმალეთის წინააღმდეგ.

ეს სხვა რომ არა იყვეს-რა დიდი უმადურობაა და შეიძლება ითქვას თავხედობაც. ჩვენ დავეხმარეთ და ვეხმარებით იმდენით, რამდენსაც ამის ნებას გვაძლევს ჩვენი ეროვნული ძალა და ენერგია.

დღეს რომ საქართველო იარაღით ბრძოლაში ჩაებას და მით უმეტეს აეკვიატოს ვისმეს, ეს იმას ჰნიშნავს რომ ერთხელ კიდევ შეასუსტეს თავის სახელმწიფო, როგორც ეკონომიურად ისე სხვა მხრივ,

სამი წელიწადია რაც დამოუკიდებელი საქართველო არსებობს და ამ ხნის განმავლობაში, მან მრავალი მტრის შემოსევა განიცადა, ბევრჯელ იდგა საფრთხე ჩვენი სახელმწიფოებრივ ცხოვრების მოსპობისა და მრავალჯერ აღმართულა ჩვენს წინააღმდეგ გაცილებით ძლიერი მტრის ხმალი, მაგრამ სად იყვნენ ამ დროს ეს ჩვენი ძვირფასი მეზობლები, რომელნიც დღეს ამ გვარ მოთხოვნილებით გამოდიან. დაგვეხმარებიან რამეთი?

განა, როდესაც დენიკინი აბჯარ ასხმული, მოადგა საქართველოს საზღვრებს და ჰლამობდა ძველი რუსეთის მთავრობის აღდგენას ჩვენს სამშობლოში მაშინ არ იყო, რომ იგივე ხელმძღვანელი წრეები სომხეთისა, პილატესავით იბანდნენ ხელს? ან განა დაჰვიწყებია ჩვენ ხალხს ის დრო როდესაც ერთ მხარეს მტერ შემოსეულებს ზურგში მახვილის ჩაკვრა მოგვინდომეს?

რასაკვირველია ყოველივე ეს დაივიწყეს, დაივიწყეს რადგან მათ სახარგებლოთ არ ლაპარაკობს და დღეს კი ჩვენ გვთხოვენ ისეთ რამეს, რის ასრულება ჩვენ არ შეგვიძლიან, არ შეგვიძლიან იმიტომ, რომ ასეთ ხშირ ომებს ჩვენი სამშობლო ვერ აიტანს, არ გვაქვს იმდენი იარაღი და საომარი მასალა, რომ ყველას ჩვენ გამოვესარჩლოთ ასე აშკარად და მთელი ჩვენის ძალებით, მეორეც თითო ქართველიც კი, როგორც წევრი სახელმწიფოსი ჩვენთვის მეტად ძვირად ღირს და ძვირფასია და მას ჩვენ უფრთხილდებით ისე როგორც თვალის ჩინს.

შეიძლება ეს გარემოება სხვა დროს და სხვა პირობებში აღნიშვნის ღირსიც არა ყოფილიყო მაგრამ დღევანდელ პირობებში, იმ დროს, როდესაც ევროპის სახელმწიფონი დღეს საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების წინაშე სდგანან და გაფაციცებით თვალყურს ადევნებენ ჩვენს მოქმედებას და მუშაობას ასეთ გამოსვლას უეჭველია ზიანის მიყენება შეუძლიან, მით უმეტეს ისეთ კილოთია ლაპარაკი თითქოს ჩვენ ოსმალეთის სიმპატიით ვიყვეთ გამსჭვალულნი.

მეორე, ქართველი ხალხივე არ უნდა შევიდეს შეცდომაში და არ აღეძრას გულში უკმაყოფილება იმისი, რომ თითქოს ჩვენი მთავრობა დახმარების ნაცვლად მტრობდეს გაჭირვებულ მეზობელსო. და საქართველო აშკარა იარაღს ხელში აიღებს მხოლოდ მაშინ როდესაც მის მიწაწყალს შემოესევა ვერაგი მტერი და დაანახვებს კიდეც ქვეყანას, რომ შეუძლიან თავისუფლებისთვის ბრძოლაც და გამარჯვებაც.

სოფელი და ქალაქი.

სოფლისა და ქალაქის მუდმივი ბრძოლა ზოგან მეტად გამწვავდა, ზოგან უკიდურესობამაც მიაღწია. ამ ბრძოლამ თავი წამოყო უფრო დამარცხებულ ქვეყნებში რუსეთში მან მახინჯი ხასიათი მიიღო. ამ უზარმაზარ ქვეყანაში ასობით დაძრწიან სოფლიდან სოფლამდის შეიარაღებული რაზმები წითელარმიელებისა და მახვილით ართმევენ გლეხს სურსათ-სანოვაგ. დამშეულ ქალაქებისთვის, რომელნიც ზარმაცობის სენით არიან შეპყრობილი, თითქმის არაფერს ჰქმნიან და სხვის ნაოფლარს ყიდულობენ ყბედობით, დაპირებებით და პროკლამაციებით. სოფელი ჯერ-ჯერობით ებრძვის ქალაქს ჩუმი და პირდაპირი ბოიკოტით. ეხლანდელ ფულს არ იღებს, გადასახადს გაურბის და თავის სარჩოს მიწაში მალავს. გამარჯვებული სოფელი გამოდის. ქალაქები განახევრდა, ზოგან მაგალითად პეტერბურგში მხოლოდ მეოთხედი დარჩა მცხოვრებთა. უმეტესი ნაწილი სოფლად გაიკრიფა და გლეხს შეაფარა თავი.

საქართველოში ამ ბრძოლას ასეთი მწვავე ხასიათი არ მიუღია, მაგრამ იგი წინანდელთან შედარებით მაინც გაცხოველდა. სოფელი აღარ იღებს ქალაქის ფულს და თავის საქონელში ისევ საქონელს თხოულობს. სიმართლე სოფლის მხარეზეა, ამას დავა არ უნდა, მაგრამ ქალაქი მაინც არ ტყდება და ისევ ძველს ზღაპარს იმეორებს შესახებ გლეხების ხარბობისა, გაუმაძღრობისა და სპეკულიაციისა. საჭიროა ამ ჭორიკანობას ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო.

ქალაქის რაზმები—მომარაგების სამინისტროს აგენტები—ჩვენს სოფელსაც მოედვნენ, შეჰკრეს იგი, მცირე ფასებში ყიდულობენ მის ნაწარმოებს და ამ წესით ჰკვებავენ ქალაქებს, რომელნიც სამაგიეროს გლეხს თითქმის არაფერს აძლევენ, რადგან მისაცემიც არაფერი აქვთ. ჩვენი ქალაქები თითქმის არაფერს ჰქმნიან, ისინი მხოლოდ ვაჭრობით სცხოვრობენ. მუშის შრომის ნაყოფიერება განახევრდა. ქალაქი მუდმივ უქმობს, ლაპარაკობს, დავობს და პოლიტიკანობს. ამავე დროს სოფელმა მუშაობას უმატა. სადაც ტყე იყო ეხლა იქ გუთანი დადის, ბუჩქნარი გაიკაფა, ხრიოკი მოირწყო; ერთი სიტყვით, ქალაქმა მუშაობას უკლო, სოფელმა მოუმატა, ეს ყველასათვის ცხადია, მაგრამ უქმი და ზარმაცი ქალაქი ლამობს მუქთად ჩაიგდოს სოფლის ნაოფლარი, თუმცა წინანდელთან შედარებით იგი ერთ მესამედს ძლივს აძლევს სოფელს მის ნაწარმოებში.

ამის დასამტკიცებლად ჩვენ შევადარეთ წინანდელი და ეხლანდელი ფასები სოფლისა და ქალაქის ნაწარმოებისა. ჩვენ ავიღეთ ორივე მხრიდან 12 საგანი, თანახმად სავაჭრო-სამრეწველო პალატის უკანასკნელ მაზანდისა, და მივიღეთ შემდეგი სურათი:

ქალაქის ნაწარმოები.

ფასი 1914 წ.:	დღევანდ. ფასი:	გაძვირდა:
1. შაქარი 5 მ.	10.000 მ.	2000-ჯერ
2. მარილი 40 კ.	2.000 ,,	5000 ,,
3. სანთელი 15 კ.	450 ,,	3.000 ,,
4. ნავთი 3 კ.	45 ,,	1500 ,,
5. საპონი 15 კ.	300 ,,	2000 ,,
6. ასანთი 8 მ.	8000 ,,	1000 ,,
7. შუშა ფანჯ. 7-8 20 კ.	560 მ.	2800 ,,
8. რკინა ყალიბა 1-40	3000 მ.	2150 ,,
9. ლურსმანი 1-20, 1-60	6000 მ.	4000 ,,
10. ნალი 7 მ.	11.000 მ.	1600 ,,
11. თოკი 3-60, 4 მ. 16-	25000 მ.	6000 ,,
12. ბაწარი 7 მ.	35.000 მ.	5000 ,,

სოფლის ნაწარმოები:

ფასი 1914 წ.	დღევანდ. ფასი:	გაძვირდა:
1. ქათამი 80 კ.	500 მ.	600 ჯერ
2. ინდოური 1-50,2 მ.	700 ,,	500 ,,
3. ყველი 25 კ.	240 ,,	1000 ,,
4. კვერცხი 10 ც. 15 კ.	200 ,,	1300 ,,
5. ხორბალი აქ. 1 მ.	2500 ,,	2500 ,,
6. სიმინდი 80 კ.	900 ,,	1100 ,,
7. თაფლი 25 კ.	280 ,,	1100 ,,
8. ხახვი 60 კ.	1200 ,,	2000 ,,
9. კართოფილი 60 კ.	1000 ,,	1700 ,,
10. თივა 50 კ.	200 ,,	400 ,,
11. ქერი 80 კ.	1500 ,,	2000 ,,
12. შეშა 60 მ.	20,000 ,,	1850 ,,

ზემოჩამოთვლილი 12 საგანი სოფლის ნაწარმოებისა საშუალოდ გაძვირდა 1300-1350 ჯერ, ხოლო ქალაქის ნაწარმოები-ისევ 12 საგანი-საშუალოდ გაძვირდა 3000-ჯერ, ესე იგი ქალაქი თავის ნაწარმოებს ჰყიდის თითქმის სამჯერ უფრო ძვირად ვიდრე სოფელი.

ამის შემდეგ ცხადია, რომ სოფლისა და ქალაქის დავაში სამართალი სოფლის მხარეზეა. თუ მთავრობა მართლა იცავს მშრომელს და სდევნის უქმობას, მან უნდა აამუშაოს ზარმაცი ქალაქი, რომელიც მშრომელი სოფლის ხარჯით იკვებება. ისიც უნდა დავიხსომოთ, რომ ქალაქთა ნახევარს უსაქმო უცხოელები შეადგენენ, რომელნიც იკვებებიან ჩვენი გლეხის ნაოფლარით. ასეთი უგუნური პოლიტიკა-ზარმაცთა და უცხოელთა გამოკვება გლეხის ოფლით-გააჩანაგებს ჩვენს სასოფლო მეურნეობას, და ქალაქებსაც სიკეთეს არ მისცემს, პირიქით, უფრო ავნებს, რადგან იგი საბოლოოდ გააზარმაცებს მათ და შეაჩვევს მუქთახორობას და უქმობას, ხოლო მთელი საქართველო, წაგებაში დარჩება.

საღი სახელმწიფოებრივი პოლიტიკა მოითხოვს, რომ ალაგმულ იქმნეს ქალაქების მადა, ბოლო მოეღოს მათს გაუთავებელ უქმე დღესასწაულს, გათავდეს ძვირი სტუმრობა ლტოლვილ უცხოელებისა და ხელფეხი გაეხსნას სოფელს და მის ნაწარმოებს, რომელნიც დღეს ტყვეობაში არიან.

მიხ. ადამაშვილი.

მევენახეთა ყრილობა.

ამ რამდენიმე კვირის წინად ს. ველისციხეში შესდგა კახელ მევენახეთა და მეღვინეთა ყრილობა, რომელსაც დაესწრნენ წარმომადგენელნი მიწადმოქმედების სამინისტროსი ერობების, სხვადასხვა კოოპერატიულ დაწესებულებათა, ბანკების, მეურნეობის სხვადასხვა დარგების და ადგილობრივ მევენახენი

ყრილობა შეეხო დღევანდელ მდგომარეობასთან დაკავშირებულ საკითხების გამორკვევას და იმსჯელა შემდეგ საკითხებზე: 1) დღევანდელი მდგომარეობა ჩვენი მეღვინეობა მევენახეობისა, 2) მევენახეობა მეღვინეობის გაჭირვებულ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად საჭირო ღონისძიებანი.

ყრილობაზე დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია დღევანდელმა გაჭირვებულმა მდგომარეობამ მევენახეობა მეღვინეობაში. ომმა, ფილოქსერამ, სეტყვამ ისე დასცა ეს დარგი, რომ ხალხი კაფავს ვენახს და პური მოჰყავს და ამ დარგის ასაღორძინებლად საჭიროა თვით სახელმწიფომ, საზოგადო დაწესებულებებმა აღმოუჩინონ დახმარება. საჭიროა შინაური წარმოების წახალისება, მეზობელ სახელმწიფოებიდან იაფი და დაბალ ღირსების ღვინის შემოტანის შეზღუდვით და დაბეგვრით თუ შემოტანის აღკრძალვით.

უცხოეთში გასატანად დანიშნულ ღვინოების ბაჟიდგან და აქციზიდან განთავისუფლება.

რესპუბლიკის საზღვრებში ღვინოზედ დადებული გადასახადის ნორმის შემცირება. ამის გარდა, საჭიროა მევენახეთათვის ფართე დახმარების აღმოჩენა: ა) ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლაში სანერგეების და საცდელ საჩვენებელ საქმის მოწყობით, ბ) სეტყვასთან ბრძოლაში სავალდებულო ურთიერთშორის დაზღვევის მოწყობა და სეტყვასთან საბრძოლველ საშუალებათა გავრცელებით, სახელმწიფო თვალსაზრით და გ) ვაზის და ღვინის სნეულებებთან ბრძოლაში სხვადასხვა საწამლებელი და იარაღ მანქანათა მიწვდა.

აი ის უმთავრესი ზომები რომელიც უნდა იქმნეს მიღებულნი დღევანდელ მევენახე - მეღვინეობის გაჭირვებულ მდგომარეობიდან თავის სახსნელად.

კვირიდან-კვირამდე

პოლონეთსა და რუსეთ შორის ზავი ჩამოვარდა მაგრამ ამის შემდეგ პოლონელებმა აიღეს ლიუბლინი და ნოვო-კონსტანტინოვი.

ლოიდ ჯორჯმა რუსეთის წარმომადგენელს კამენევს განუცხადა, რომ რუსეთისა და ინგლისს შორის პოლიტიკური მოლაპარაკება ამიერიდან აღარ იქნებაო.

მახნო ბოლშევიკურ რუსეთის წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლებს აწარმოებს.

სომხეთმა ჩიჩერინს (ბოლშევიკურ რუსეთის გარეშე კომისარია) პროტესტი განუცხადა იმის გამო, რომ რუსეთი იარაღს უგზავნის ქემალს.

ამერიკამ გერმანიას ასი ათასი ძროხა გაუგზავნა.

საქსონიის დამოუკიდებელთა პარტიამ ბოლშევიკთა და მესამე ინტერნაციონალის წინააღმდეგ გაილაშქრეს. ასევე გაილაშქრა ამერიკის მუშებმა

რუსეთის და პოლონეთის ზავი ძალაში შევიდა.

საქართველოს მუშათა პროფესიონალურმა კავშირებმა უარჰყვეს შრომის ბეგრის შემოღება.

დეპეშები.

ბოლშევიკების დესანტი ტრაპეზუნდში.

გაზ. „აშხატაორი“ს კორესპონდენტი იუწყება შემდეგს: „ტრაპეზუნდში მოვიდა ბოლშევიკების დესანტი, რომელმაც ქემალ-ფაშის ჯარისათვის სამხედრო იარაღები ჩამოიტანა; დესანტს მოჰყვნენ რუსის ოფიცრები და აზრუმისაკენ გაემგზავრენ. პირველ დესანტის შემდეგ ჩამოვიდა, მეორეც, რომელმაც ჩამოიყვანა 300 რუსის ჯარის კაცები, ესენიც აზრუმში გაგზავნეს“.

მოსკოვში მცხოვრებთა რიცხვი.

მოსკოვი. „პრავდა“-ს მოყავს სტატისტიკური ცნობები მოსკოვის მცხოვრებთა შესახებ, სულ მოსკოვში წითელ არმიელებთან ერთად 1,093,000 სული ცხოვრობს მაშინ როდესაც 1918 წელს ცხოვრობდა 1,700,000 მცხოვრებთა რიცხვმა აქ 36 პროც. იკლო. პეტროგრადში კი 65 პროც.

აჯანყება ხარკოვში.

„ავინტული“ ხარკოვის გუბერნიაში მომხდარ აჯანყების შესახებ იუწყება: რკინის გზის ხაზი ქმერინკასა და ოდესის შორის გადაჭრილიაო.

ანტიბოლშევიკური მოძრაობა.

პარიზი. გელსინგფორსიდან იუწყებიან, რომ ვოლგის პირის გუბერნიებში ძლიან იზრდება ბოლშევიკების საწინაალმდეგო მოძრაობა „რანს“ მიუღია ცნობები კერძო აჯანყებათა შემთხვევების შესახებ ცარიცინსა, ყაზანსა, რიბინსკისა და სარატოვში. ეს აჯანყებანი დაცხრომილ იქნა. „ტანის“ სიტყვით საბჭოთა მთავრობას გადაწყვეტილი აქვს წითელი არმიის რეორგანიზაცია. ჯარების სათავეში ისევ ტროცკი დარჩება. მის თანაშემწეთ იქნება პოლტორისკი.

გერმანია და ამერიკა.

ბერლინი. პრესა იუწყება: ამერიკის დახმარება გერმანიისადმი დღითი დღე იზრდება. ამერიკამ სურსათის გარდა გერმანიას მისცა 100 ათასი ძროხა აგრეთვე გაიღო დიდძალი თანხა გერმანიაში და გერმანელებით დასალებულ ავსტრიაში სამეცნიერო წიგნების გამოსაცემად, სამეცნიერო დაწესებულებათავის საჭირო იარაღების, აპარატებისა და სხვ. მასალაითა მისაწოდებლათ.

არეულობა თავრიზში.

ლონდონი. თავრიზის ახალ გუბერნატორად დაინიშნა მუხრან—სა—სულთანი, მაგრამ იგი ქალაქში არ შეუშვეს, „ტაიმსის“ ცნობით მუხარს მიუშვილებია თავისი რაზმი. სროლის დროს მოუკლავთ 50, მათ შორის დემოკრატიულ პარტიის ლიდერი ქალაქის ყოფილი დიქტატორი. დაუჭრიათ 7 კაცი. ბრძოლის შემდეგ თავრიზი მუხბარს დაუკავებია.

უცხოეთში.

ევროპის აფრიკის და აზიის საქმეებში ამერიკის ჩარევის გამო.

ნიუიორკი. რესპუბლიკანურ პარტიის პრეზიდენტის კანდიდატმა სენატორმა გარდინმა ამერიკის მოქალაქეთა მიმართა დეკლარაციით, სადაც კატეგორიულ პროტესტს აცხადებს ევროპის, აფრიკისა და აზიის საქმეებში ამერიკის ჩარევის გამო,

უმუშევართა რიცხვი გერმანიაში.

ბერლინი. ოფიციალური ცნობით გერმანიაში უმუშევართა რიცხვი 419000 აღწევს, ამათში 312000 მამაკაცია.

ავსტრო გერმანიის კავშირი.

უკანასკნელ დროს ავსტრიაში ფართე აგიტაცია სწარმოებს გერმანიასთან კავშირის აუცილებელ საჭიროებისათვის. ამ აგიტაციას ხელმძღვანელობენ ქრისტიანი სოციალისტები, რომლებმაც არჩევნებში აბსოლიატური უმრავლესობის ხმა მიიღეს. თითქმის ყველა დანარჩენი პოლიტიკური პარტიებიც იმ აზრისაა, რომ ავსტრიას ცალკე არსებობა არ შეუძლია, და რომ სან-ჟერმენის ხელშეკრულება ავსტრიას განადგურებით ემუქრება.

კანადის მუშათა კონგრესი.

უკანასკნელ ხანებში მომხდარ კანადის მუშათა კონგრესმა, ერთხმად უარჰყო რუსეთის ბოლშევიკების ეკონომიური და პოლიტიკური პლათფორმა.

კონგრესმა განიხილა აგრეთვე ირლანდიის საკითხი და უარჰყო ორი რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვდა დღესვე ირლანდიის დამოუკიდებლობის გამოცხადებას. მიღებული იქმნა მეორე რეზოლიუცია, რომელშიდაც ის აზრია გამოთქმული, რომ ბრიტანეთის მთავრობამ როგორც სხვა თავის ავტონომიურ ერთეულებს, ირლანდიისაც ჩვეულებრივი თანდათანობით მიანიჭოს პოლიტიკური თვითმართველობა.

სიძვირე ამერიკაში.

ნიუიორკი. ამერიკელი პრესა იუწყება: ამერიკის მცხოვრებლებმა შეერთებულ შტატების ვაჭრების და მწარმოებლების აპეტიტებზე დიდათ გაიმარჯვეს. სიძვირის წინააღმდეგი ბრძოლა ამერიკაში გამოიხატა იმ საქონლების წინააღმდეგ ბოიკოტის გამოცხადებაში, რომელშიც პირველ საჭიროების საგნებს არ წარმოადგენენ. ამ ბოიკოტმა რამოდენიმე კვირის განმავლობაში რამოდენიმე წარმოება სრულ განადგურებამდე მიიყვანა. მწარმოებლები იძულებულნი გახდნენ დაეწიათ ფასები მანუფაქტურაზე. დიდმა ფირმებმა თავის ნაწარმოებზე 50 პროც.-ით დაუწიეს ფასი. კერძოთ „ფორტის“ ავტომობილებს ომის წინ არსებულ ფასებში ყიდის.

ახალი ამბები.

— შინაგან საქმეთა სამინისტრომ რესპუბლიკის სამაზრო მილიციის უფროსებს დაუგზავნა შემდეგი შინაარსის ცირკულიარი: სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის მიერ არის მიღებული მთელი რიგი ზომებისა გავრცელებულ დეზერტირობასთან საბრძოლველად, რომელთა ცხოვრებაში გატარებლად შტაბი საჭიროებს შესაფერის დახმარებას ადგილობრივ ადმინისტრაციის მხრივ. გატყობინებთ რა ამას წინადადებას გაძლევთ დაუყონებლივ და ჯეროვანი ენერგიით შეასრულოთ ყოველი უშუალო მომართვა თქვენდამი სახალხო გვარდიის მთავარი შტაბისა.

— იუსტიციის სამინისტროში. დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა იუსტიციის სამინისტროს გაუგზავნა დამფუძნებელი კრების წევრების ცისკარიშვილისა და შარაშიძის მოხსენება თიანეთის მაზრაში არსებულ სხვა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებათა მდგომარეობის შესახებ. დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი სთხოვს იუსტიციის სამინისტროს გასცეს სათანადო განკარგულება იმ საკითხების მოსაგვარებლად, რომლებიც მოხსენებაში არის აღნიშნული და კერძოთ კი სასამართლოს საკითხის მოსაწესრიგებლად. პრეზიდიუმი საჭიროდ სთვლის, გამოირკვიონ საკით. ბეკოშვილის მკვლელობის შესახებ. „ბეკოშვილს აბრალებდნენ ყაჩაღობას“, იგი დააპატიმრა ადმინისტრაციამ და მეორე დილას კი კამერაში ყელგამოჭრილი იპოვეს. იუსტიციის სამინისტრომ ამ მოხსენების მიღების შემდეგ მკვლელობის გამოძიების სასწრაფოთ მოხდენა უდიდეს საქმეთა გამომძიებელ დილევსკის მიანდო. დილევსკის მიენდო თიანეთის მაზრაში არსებულ სასამართლოების მდგომარეობის გამოკვლევა.

— პროექტი კანონისა შრომის ბეგარის შესახებ. შრომის სამინისტრომ დასკვნისათვის დაინტერესებულ უწყებებს და პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს წარუდგინა პროექტი კანონისა შრომის ბეგარის შესახებ. პროექტი 12 მუხლისაგან შესდგება: 1. მუშებისა და მოსამსახურეების სათანადო კადრის სახელმწიფო და საზოგადოებრივ მოთხოვნილებების უზრუნველსაყოფად და აგრეთვე ყველა მშრომელ ელემენტის სასარგებლო მუშაობაში ჩასათრევად არსდება საყოველთაო შრომის ბეგარა. 2. შრომის ბეგარა ეხება ყველა მამაკაცს, ვინც კი საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ცხოვრობს, 18 60 წლამდე და დედაკაცს 18 50 წლამდე, 3. შრომის ბეგარის მოხახდელად პირველად ყოვლისა გაწვეული იქნებიან ქალაქთა მცხოვრებნი, რომლებსაც არა აქვთ სამუშევარი და აგრეთვე ისეთი სპეციალისტები, რომლებსაც არა აქვთ სამუშევარი თავის სპეციალობის და მიხედვით, 4. შრომის ბეგარისაგან თავისუფლდებიან ავადმყოფნი და აგრეთვე ქალები ფეხმძიმობის და პატარა ბავშვების ძუძუს წოვის დროს, 5. შრომის ბეგარა შეიძლება იქნეს შემოღებული მთავრობის ბრძანებით, და აგრეთვე ქალაქთა და ერობათა დადგენილებებით. თვითმართველობების დადგენილებანი დასკვნისათვის გადაიცემა უმაღლეს საბჭოს, რომელიც შემდეგ მთავრობამ უნდა დაამტკიცოს. ც) შრომის ბეგარის მოსახდელად გასაწვევ პირთა რაოდენობას საზღვრავს მთავრობა, იმის და მიხედვით, თუ როგორი არის სახელმწიფოებრივი მოთხოვნილებანი, 7) შრომის ბეგარით გაწვეულნი პირნი იღებენ შრომის ხელფასს, რომელსაც შრომის სამინისტრო საზღვრავს. 8) საქმეებს, რომლებიც

დოლა-ბოლა

(შემდეგი)

4. კომისარი.

დოლა წელში გასწორდა: კომისრობა მოუხდა. ექვსი თვე იყო, რაც სოფლის სადავენი ხელთ ეპყრა. სახე დაეწმინდა, შეევსო, ძირდაშვებული მხრები მაღლა აწია, უკან გადიჭიმა, ძირს აღარ იცქირებოდა, თავი მაღლა ეჭირა. სახლები აიშენა. სოფლის მცხოვრებნი უყურებდნენ და გულში ამბობდნენ სოფლის ჭამა ხომ მამასახლისსაც შეეძლოვო, თუ გინდ მგელს შეუჭამიჟართ, თუ გინდ მგლის ფერს სხვასაო.

თუ დოლა სუქდებოდა, არც თანამეცხედრე ბოლა უვარდებოდა თუ აქნობამდე დაჯდომისას ან მოკეცვისას ადამიანის ტანის მოხაზულობა ეტყობოდა, ეხლა ეს თვისებაც დაკარგა. დაჯდებოდა მორგვსა ჰგავდა, ადგებოდა და ხომ მორს ჰგავდა.

მზე იწურებოდა, როცა ასე ფერცვლილნი ცოლ-ქმარნი სოფლის მთავარ გზაზე მოემართებოდნენ. ბოლას დოლასათვის მკლავში ხელი გაეყარა და ყელმოღერებული ათვალიერებდა გზაზე მავალთ. ყველანი სალამს აძლევდნენ დოლა-ბოლასა. თავიანთ სახლის ბანზე ბადილაურიანთ ქეთო წამოსკუპებულიყო თავის მეგობარ ქალებს ემუსაიფებოდა. მოჰკრა თვალი თუ არა მომავალ ცოლ-ქმარს მაშინვე მეგობრებს ხელი წაჰკრა.

— უცქირეთ გოგუებო, უცქირეთ! დოლა-ბოლა მოდის, დოლა ბოლა მოდის!

ყველამ დოლა ბოლას მიაპყრო თვალი ცოლ ქმარს, ბადილაურიანთ ბანისაკენ არ მოუხედნიათ, მაგრამ ყური კი მახვილათ ეჭირათ.

— ნეტავი, ქალებო, არა გრძნობს ჩვენი სოფლის კომისარი, ე მორს რომ მიათრევს?—წამოისროლა მოურიდებლათ ქეთომ.

დოლა ძალზე გაწითლდა. ბოლას სიბრაზით თვალები აუწიპწიპდნენ.

— ხომ ხედავ, გზას არ მაძლევს?—მიახალა დოლას შინ მისვლისას გაკაპასებულმა ბოლამ.—მაშ არ უნდა გადუხადო! მაშ არ უნდა გადუხადო? ხმა ამოიღე, კაცო! რას გაჩუმებულხარ? თქვი რალა, თქვი! აბა რა მიმიგავს მორსა? აბა?.. აბა?..—აქ ბოლამ ხელები მაღლა აიშვირა, ქმრის წინ ერთი ორჯელ შემოტრიალდა და თავისი ტანის უყალიბობა მთლად გამოაშკარავა.

დოლა იდგა გაჩუმებული და ცოლს ისე უცქეროდა, თითქოს პირველად ჰხედავსო. სახეზე ნელ ნელა ზიზღი გამოეხატა. ღმერთო, რა საშინელება რამ არისო, ფიქრობდა გულში ცოლზე, რატომ აქნობამდე ვერ ვამჩნევდიო. როცა არ იქნა და აღარ მოეშვა და შურის ძიებას მოითხოვდა, უკმეხათ უთხრა ამალამ შენთან ნულარ გამიშლი ლოგინს ცალკე დამიგეო.

ბოლა ჯერ გაოცდა, მერე წყნარად მოშორდა ქმარსა, მიჯდა კუნჭულში და მწარეთ ატირდა: იგრძნო რომ დოლას გულში რაღაც ცვლილება მოხდა. შევეჯავრე, შევეჯავრეო, ურბოდა თავში აზრი, გავუბედურდი, ქმარი აღარ დამიწვება გვერდითაო, და თან წყევლა კრულვას უგზავნიდა ბადილაურიანთ ქეთოსა: სულ იმის ბრალია, სულ იმისიო, იმ შახტიასიო, იმას რომ არ ეთქვა ის საშინელება ამალამ ჩემი ქაარი ჩემთან იწვებოდაო.

არ დოლა იყო მოსვენებით. მთელი ღამე ისე გაატარა რომ თვალი არ მოუხუჭია, ლოგინში სულ ბორგავდა და უხმოდ იმეორებდა, რატომ აქნობამდე ვერ ვხედავდი ჩემი ცოლის გაუთლელ ტანსაო და რატომ ვერ ვხედავდიო. სიამოვნებით ვეხვეოდი, ვეკვროდი, ვკოცნიდი, ვულიტინებდი და ვერ ვხედავდიო. როცა ამას ყველაფერს იგონებდა, გული ერევოდა, იფურთხებოდა. მზად იყო აიაზმით განებანა თავიდან ფეხებამდე თავისი არსება. მეორე დილით ისე გავიდა გარეთ, ცოლს არა სჩვენებია, მთელი დღე სოფელში ტრიალობდა და შინ დაბრუნებას ერიდებოდა.

ბოლა ბადილაურიანთ გადაუვარდა და ქეთოს დედას ჩხუბი აუტეხა.

—რატომ სულ ბუწუწებს არ დააგლეჯ მაგ შენ ენა ჭარტალა ქალსა—რატომაო, რომ ამდენა ადამიანი ასე გამათახსირა ქმარ შემაჯავრაო...

მეზობლებმა ძლივ დააშოშმინეს და სახლში წაიყვანეს.

მესამე დღეს როგორ იყო ბოლამ ისევ თავისუფლად ამოისუნთქა გუნებიდან ჯავრი გადიყარა. ქმარი აღარ გაურბოდა. პირიქით დოლა ტკბილადაც კი ემასლაათებოდა. მთელი დღე სახლში იყო გარეთ აღარ გასულა. ბოლაც ცდილობ და უბედური სილამო აღარ მოეგონებინა ქმარისათვის.

ნ. საყვარელი.

დილით, წყაროსთან, დედა-კაცებს თავი მოეყარათ და წყლის გავსების ჯერის მოლოდინში ერთს სიცილ-ხარხარში და ლაპარაკში იყვნენ.

— ვინ გითხრა ქა? ვინ გითხრა?—იკითხა ერთმა.

— ვინ მითხრა და იქვე ჩვენ გვერდით არა დგას ის დასაქცევი ტაბუკაანთ ქვრივი? დღე არ გავა რომ კომისარმა მალულად არ შეუაროს ხოლმე.—უპა! უხა მეორემ. ჩვენ ფანჯარიდან ყველაფერი ჩანს.

— უი დასწყევლა მათი თავი ღმერთმა! აღარც ცოლ-ქმრობა სწამთ და აღარც ნამუსი!—წამოიძახა მესამემ.—უიმე გენაცვალეთ! როდემდის უნდა გასტანოს აეთმა ულმერთობამ? ღმერთს ცოლი მოუცია შენთვის, სხვასთან რაღათ მიდიხარ! ბედმა რაც გარგუნა გარგუნა!.. ნეტავი, ქაათ ბოლამ იცის თუ არა ეს ამბავი?

— როგორ ააწიპწიპებს ი ამოსაგდებ თვალებს, როცა გაიგებს!—დასძინა სიამოვნებით წყაროზე მყოფმა ბადილაურიანთ ქეთომ.

მოულოდნელად რაღამაც ჩახუნი მოიღო და ერთ წუთას ლაპარაკით შესწყდა. ყველა აქეთ იქით დაიწყეს ყურება.

— ქაათ, ვის გაუტყდა კოკა? იკითხეს ერთხმად.

— ჩახუნის ხმა წყაროს კედლის უკანიდან მოვიდა—წამოილაპარაკა ქეთომ, რომლის მახვილს ყურს არაფერი გამოეპარებოდა ხოლმე.

წყაროს ლულა მაღალ კედელში იყო გაკეთებული, კედელს უკანა მხარეზე ცარიელი ადგილი ჰქონდა დაგდებული ქეთომ სწორედ ამ ადგილისაკენ გადადგა რამოდენიმე ნაბიჯი და დაყრიდებლად წამოიყვირა:

— ქაათ, ბოლა!—თავისებურ-გამპედაობით ქეთომ დოლას მეუღლე თამარად არ მოიხსენია.

დედაკაცებმა კოკებს თავი ანებეს და წყაროს კედლის უკანა მხარეს გადინაცვლეს.

მიწაზე ბოლა ეგდო გულწასული: გვერდით კოკის ნატეხები ეყარა.

— ამ თვალდამდგარს ყური უგდია, ქაათ, ჩვენი ლაპარაკისათვის!—სთქვა ქეთომ.—ამ უბედურმა სულ აგრე იცის თუ სადმე ორი ან სამი ადამიანი დაინახა მოლაპარაკე, მაშინვე რამეს ამოეფარება და ყურს დაუგდებს ხოლმე. ახია ამაზე! ერთხელ როდისმე უნდა ეწვნია თუ არა წვენი?!

დედაკაცები გულხელ-დაკრეფილნი უმზერდნენ გულწასულ ადამიანს და შველა ვერავის მოეფიქრებინა.

ისევ ქეთომ გაანძრია ხელი. ჯაათია ენის პატრონს გული ლმობიერი ჰქონდა.

— მოდით, მიშველეთ, ქაათ, მოვაბრუნოთ!—მიმართა დედაკაცებს და ჯარასეებრ დატრიალდა.—მართალია ცუდი ენის პატრონია, მაგრამ მაინც ადამიანის შვილია.

— სად ვარ?—იკითხა სუსტის ხმით.

— მაინც და მაინც კაი ადგილას არა ხარ?—უპასუხა ქეთომ და წამოსვა.—აჰა! დალიე წყალი. ჩაფუჩით წყალი მიაწოდა.

ბოლამ მოსვა წყალი და ბარბაცით ფეხზე წამოდგა. ქეთომ ხელი წააშველა.

— მადლობელი ვარ.—წამოილუღლუღა ბოლამ და ტირილი ამოუშვა.

— აქ ტირილს, შინ რომ წახვიდე სჯობია.—უთხრა ქეთომ.—წამო წაგიყვანო... ე ჩემ კოკაზე თვალი დაიჭირეთ.—დაუბარა დედაკაცებს წასვლისას.—მალე მოვალ.

— ე ავ ენასთან, კეთილი გული მაინც ჰქონია.—სთქვა ჩურჩულით ბოლამ ქეთოზე და მძიმე-მძიმეთ აამუშავა ფეხი.—მე კი არა.

— რას ბურტყუნებ?—შეეკითხა ქეთო.—შეაჩერე ეგ შენი ენა თორემ ღმერთი როგორც ეხლა სხვა დროსაც გაზღვევინებს.

— აღარაფერს ვიტყვი აღარაფერს!—წამოილაპარაკა აჩქარებით ბოლამ, საზღვაურის გადახდევინება რომ მოაგონეს და ფეხს აუჩქარა და თან დასძინა.—წადი შენი შველა აღარ მინდა, ქეთო! ღონე მომეცა და მე თვითონ მივალ სახლამდე.

ქეთომ თავი ანება და წყაროს დაუბრუნდა. ბოლამ კი ტუსტუსით სახლისაკენ გასწია.

შრომის ბევრის შეხება უმაღლესი ეკონომიური საბჭო განაგებს. საბჭოები მოქმედებენ ადგილობრივად ქალაქთა და ერობათა თვითმართველობის ორგანოებთან ერთად. კომისიაში შედიან: ორი წარმომადგენელი ადგილობრის თვითმართველობიდან და თითო თითო წარმომადგენელი პროფესიონალურ კავშირიდან, სახალხო გვარდიიდან და შრომის სამინისტროდან, 9) ეკონომიურ საბჭოს ეძლევა უფლება ინსტრუქციის გამოცემისა ინსტრუქციებს და წესებს საბჭო შრომის სამინისტროსთან შეთანხმებით სცემს და სხვ.

ინტერნაციონალური კავშირი ჭლექთან საბრძოლველად. ჭლექთან მებრძოლი ინტერნაციონალურ კავშირის უკანასკნელ სხდომაზე მიიღეს შემდეგი გადაწყვეტილებანი: 1, პარიზში მომხდარმა 1920 წ. ოქტ. 17, 18-ს საერთაშორისო კონფერენციამ მიიღო ახალი კავშირის წესდების პროექტი იმ საზოგადოებათა და მთავრობათა დელეგატებმა, რომლებიც მონაწილეობას იღებენ კონფერენციაში, თავის ამრჩევლებს წინადადება მისცენ არა უგვიანეს 1920 წ. მარტის 1. მიიღონ ეს წესდება ჭლექთან მებრძოლ ინტერნაციონალური კავშირის შემდეგი სხდომა მოხდება ლონდონში 1921 წელს.

— მთავრობამ, მოისმინა რა გზათა დეპარტამენტის მოხსენება საქონლის ჭირით ავად გახდომისა და ჭირის წინააღმდეგ ბაქტერიოლოგიური სადგურის დაარსებისათვის საჭირო თანხის გადადების შესახებ, დაადგინა: მოხსენება და ხარჯთ აღრიცხვა მოიწონოს და შინაგან საქმეთა მინისტრს დამფუძნებელ კრებაში წარსადგენად გადასცეს.

— მთავრობამ მოიწონა ფინანსთა მინისტრის წინადადება საარსებო მინიმუმის რაოდენობის გადიდებისა 12.000-დან 40.000-მანეთამდე. ფინანსთა მინისტრს წინადადება მიეცა რომ სათანადო შესწორებანი შეიტანოს შემოსავალ კვალობის გადასახადში და ეს კანონი დასამტკიცებლად დამფუძნებელ კრებას წარუდგინოს.

— ფინანსთა მინისტრის მოხსენების თანახმად, რომელიც ბანკების მოქმედების მოწესრიგებას შეეხებოდა, მთავრობამ დაადგინა: 1. თბილისში არსებული ყველა ბანკი ერთგვარ პირობებში ჩააყენოს. 2. ყველა უცხო ბანკი, რომელთაც თბილისში თავისი განყოფილება აქვს, დეკემბრის 15-სათვის ადგილობრივ ბანკების მდგომარეობაში ჩააყენოს ე. ი. მათ შეძლება ექნებათ იქონიონ საკმაო ძირითადი კაპიტალი და იურიდიული პირთა უფლებანი. წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკების განყოფილებანი უნდა დაიხურონ. 3. ყველა კერძო ბანკმა სესხის ოპერაციიდან წლიურად 12 პროც. მეტი არ უნდა აიღოს. ამასთანავე მათ საკომისიო თვეში 2 პროც. მეტი არ უნდა აიღონ წელიწადში კი სულ შეუძლიათ 36 პროც. აიღონ, 4. იმ შემთხვევაში თუ რომელიმე ბანკი ერთი თვის განმავლობაში გაცემულ ჩეკის რეალიზაციას ვერ მოახდენს, იგი უნდა დაიხუროს.

— ბრძოლა ეპიდემიასთან. ჯანმრთელობის დეპარტამენტში სხვა და სხვა უწყების წარმომადგენელთა მონაწილეობით შესდგა თათბირი შავი ჭირთან ბრძოლის საკითხის შესახებ. საკითხის დაწვრილებითი განხილვის შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი დადგენილებანი: 1) ეცნობოს მცხოვრებთ პირისას, ფურცლებისა და სხვათა საშვალებით თუ როგორი საფრთხე მოელის მათ შავი ჭირის ეპიდემიის გავრცელებისაგან, 2) დაევალოს სახლის და სასტუმროების პატრონთ აცნობონ ტფილისის სანიტარულ ბიუროს შავი ჭირით ავად გახდომის ყველა შემთხვევა. ასეთივე დავალება ეძლევა ყველა ექიმს, რომლებიც თბილისში მუშაობენ, 3) ბათომიდან ღამით ჩამოსული ვაგონები უნდა გადმოიტვირთოს დღით, ამასთანავე უნდა თვალყური ედევნოს, რომ სადგურის მიდამოებში არ გაჩნდნენ ვირთხები, 4) ტფილისის საწყობებში არსებული საქონელი უნდა ელაგოს იატაკიდან და კედლებიდან, ერთი ადლის დაშორებით. 5) უნდა იქნეს მიღებული ზომები ვირთხების მოსაწამლავად, ამასთანავე ხვრელები მაზუთით და კირით უნდა გაიწმინდოს. 7) ქალაქი უნდა გასუფთავდეს ნაგავისაგან. 8) შავი ჭირით ავად გამხდარი უნდა მოათავსონ ქალაქის საავადმყოფოში. აღნიშნულ დადგენილებათა ცხოვრებაში გატარება სანიტარულ ორგანიზაციას ენდობა.

მთავარი შეცდომების გასწორება.

სასოფლო გაზეთის № 18-ში დაბეჭდილს ინ—ბანის მოთხრობაში ,,დოლა-ბოლაში'' 1 ელ თავში იყო: ეს ადამიანი ტანის მოხაზვა'', უნდა იყოს: ,,ეს ადამიანი ადამიანის ტანის მოხაზულობას''. იყო: ,,სახელმა დოლამ თავის დიდი თავის მტარებლის. იყო—,,უკვე მოლბილებულს ადამიანს რომ უარისი'', უნდა იყოს— ,,უკვე მოლბილებულს ადამიანს ხომ უარესი''. მე 3 თავში იყო— ,,ამ მუდრეგი როდის შემკითხვია'', უნდა იყოს—,,ეს მუდრეგი როდის შემკითხვია''. იყო—,,გაიძახა ხმა აალლა ქმრისა და სტუმრის გასაგონად'', უნდა იყოს —,,დაიძახა ხმა მაღლა ქმრისა და სტუმრის გასაგონად''. იყო—,,არაფერიც არ ვთქვათ'', უნდა იყოს ,,არაფერიც არ ეთქვათ''. იყო—1905 წლიდანვე დიდი შიში და როდი ჰქონდა'', უნდა იყოს —,,დიდი შიში და რიდი ჰქონდათ''.

ბუხარიის აღება ბოლშევიკების მიერ

,,ტაიმსი'' აქვეყნებს წითელ არმიელების მიერ ბუხარიის დაჭერის დაწვრილებით ცნობას. გაზეთის ცნობით ქალაქის დაკავების დროს დიდი ბრძოლა გამართულა ბუხარეთის ჯარის გარდა ქალაქს იცავდნენ ავღანელები. ლტოლვილნი იუწყებიან, რომ ქალაქს უკანასკნელ შესაძლებლობამდი იცავდნენ და იერიშის მიმტანი ბოლშევიკები რამოდენიმეჯერ დაამარცხეს და უკუაქციესო. ბოლშევიკებს ქალაქის აღების დროს დიდი ჯარი დაეღუპათ.

მთავრობის ეკონომიური საქმიანობა და სიძვირის მიზეზები.

2.

(იხილე 17 და 18 №№).

ყველა მრეწველი, იმიტომ იწყებს თავის მრეწველობას, რომ შესაფერი მოგება ნახოს, თუ ეს ასე არ იქნება იგიმოკლე ხანშივე გაკოტრდება. მრეწველის ნაწარმოების ფასი უნდა ფარავდეს, წარმოების ყოველივე ხარჯებს. და მოგებასაც აძლევდეს მწარმოებელსა, ჩვენში ნაწარმოების ფასი მუშის ხელფასსაც კი ვერ დაჰფარავს. ჩვენი ქარხნის მუშების მადა იმდენად დიდია, რომ მას ვერცერთი წარმოება ვერ გაუძლებს. მუშა მეტ ღირებულებას უნდა ქმნიდეს ვინემ ის თვითონ მის შესაქმნელი ფასს ღებულობს, ჩვენში კი უკუღმა ხდება ის მეტს ღებულობს ვინემ ჰქმნის. ქარხნის მუშა თითქმის ყველა ინტელეგენტებს და სოფლის გლეხზედ მეტს ღებულობს, მათზედ ნაკლებ დროს კი მუშაობს. მეტი უზრუნველყოფილია და ნაკლებს მუშაობს. მათი სამუშაო დღე 8-საათით განისაზღვრება, რომელი სოფლის მუშაა რომ მარტო 8-საათს მუშაობდეს? მე მგონი უკიდურესი ზარმაცი. უდავო არის რომ 8 საათის სამუშაო დღე საკმარისია ადამიანისათვის, მაგრამ ჩვეულებრივ დალაგებულ დროს. დღეს კი, როცა მთელი ჩვენი ცხოვრება ომმა და რევოლიუციამ აწეწ-დაწეწა, მთელი ჩვენი წარმოება გაანადგურა, ათი და ოცი წლობით შექმნილი ნაწარმოები გავანადგურეთ 8 საათის სამუშაო დღე საკმარისი არ არის, ეს მძიმე მდგომარეობა შეიგნეს ყველა სახელმწიფოს მუშებმა, მაგალით ამერიკაში მუშათა კონფერენციამ 9-10 საათის სამუშაო დღე მიიღეს, ინგლისის მუშებმა უარი სთქვეს ხელფასის მომატებაზე, სოციალისტურ გერმანიაში მუშებ 10-12 საათს მუშაობენ, რუსეთშიაც სადაც ძალა უფლება ქარხნის პროლეტარ-მუშათა ხელშია, მუშებმა თავად დაადგინეს 14 საათი იმუშაონ. როგორც ხედავთ ყველა სახელმწიფოს მუშებმა შეიგნეს ეს მძიმე მდგომარეობა, უარი სთქვეს 8 საათის სამუშაო დღეზე. და ზოგან 10 და ზოგან 14 საათსაც კი მუშაობენ, რომ ომისა და რევოლუციის მიერ განადგურებული სახელმწიფოები ქონებრივად გაამაგრონ. ჩვენში კი სხვასა ვხედავთ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა ზემოდ ჩამოთვლილ ევროპის სახელმწიფოებზე ათიათასჯერ უფრო ცუდია, ჩვენი მუშები მაინც 8 საათსა მუშაობენ, და აქედანაც რამოდენიმე საათს კიდევ კრებებსა და მიტინგებს ანდომებენ. სოციალ-დემოკრატიული მთავრობა ყურ-მოჭრილი მონა გამხდარა საქართველოს ქარხნის ერთი მუჭა მუშებისა, ყოველ მათ უადგილო მოთხოვნილებებს ასრულებს, ამით კი კვდება ჩვენი საქალაქო მეურნეობა. ისპობა-მრეწველობა ჩვენც აღსასრულის დღენი გვიახლოვდებიან. 3 მილიონიან საქართველოში ქარხნის მუშა ათიათასი თუ იქნება და როგორ შეიძლება, რომ საქართველოს მთავრობა, მათი ყურ-მოჭრილი მონა იყოს, და ხმა ამოუღებლივ ასრულებდე ყველ მათ მთელი სახელმწიფოსათვის, საზარალო მოთხოვნილებებს.

მაშ ეგრე, ჩვენში არ არის დაცული კერძო საკუთრება. არ აძლევენ გასაქანს კერძო თაოსნობას, არ არის მოწესრიგებული მუშათა საკითხი, და ყველა ესენი ჰქმნიან ისეთ მდგომარეობას, რომ წარმოება შეუძლებელი ხდება, ახალი ნაწარმოები ბაზარზედ აღარ გამოდის მოთხოვნილება სჭარბობს მიწოდებას და ეს ჰქმნის საშინელ სიძვირეს. სიძვირის მიზეზები კიდევ ბევრია რომელსაც ჩვენ შემდეგ დაუბრუნდებით.

ხოლო ჯერ კი ვიტყვით. რომ საქართველოს მთავრობამ თავი უნდა დაანებოს სოციალისტურ სიზმრებს, საგანგებო კანონით უნდა უზრუნველ ჰყოს კერძო საკუთრება, და კერძო თაოსნობა. განთავისუფლებდეს ერთ მუჭა ქარხნის მუშაობის გავლენისაგან, ანგარიში გაუწიოს ქართველი ხალხის გაცლებით დიდ უმრავლესობას და ისეთი პირობები შექმნას რომ მეურნეობა და წარმოება შესაძლებელ გახდეს. ამით ეშველება სიძვირეს და რესპუბლიკასაც თავიდან ასცილდება ის საშინელი უბედურება, რომელიც მასმოელის.

ედ. პატარიძე.

ოჯახში სისუფთავის დაცვა და აბანოს მნიშვნელობა.

ერთ ერთ წერილში ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი წყალის შესახებ. თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენი ჯანსაღობისთვის სუფთა წყლის სმას. ჩვენი დასკვნა ის იყო, რომ წყალი უნდა იხმარებოდეს მხოლოდ სუფთა წყაროსი, სხვა წყალს ადვილად შეუძლიან ავნოს კაცს და ამის მაგალითებიც მოვიყვანეთ. მაშასადამე წყალი. თუ იგი ნამდვილად სუფთაა, დარაჯია ჩვენი ჯანსაღობისა, მაგრამ ამით არ იწურება წყლის მნიშვნელობა ჩვენთვის, ვინაიდან წყალი სხვაფრივაც აუცილებელი და სასარგებლო საგანია ჩვენთვის, როცა მას ვხმარობთ გარედან ტანის გასაბანად. ტანის სისუფთავეს დაცვა, მისი გაბანვა აუცილებელი საჭიროა ჩვენთვის თუ გვინდა, რომ ჯანსაღად დავრჩეთ. ეს აზრი ყველას, ჩვენს გარდა სამყოფათ შეთვისებული აქვს და საქმითაც განხორციელებულია, ქალაქებში ხომ ყველგან აბანოებია გამართული, იმდენი ხალხი დაიარება შიგ, რომ ტევაც არცკი არის; სოფელშიაც, თუ იქ სხვა ტომის ხალხი სცხოვრობს, რუსები, გერმანელები და სხვები, მუდამ ჰნახავთ აბანოს, მხოლოდ ქართულ სოფელში არ არის ეს სასარგებლო დაწესებულება, რატომ: იმიტომ რომ ჩვენ გლეხკაცობას სრულიად არა აქვს მოთხოვნილება გაიბანოს ტანი და სისუ-

---

შინ ბოლა სამი დღე სულ გარინდებული იყო როცა დოლა რამეს ეკითხებოდა, ზურგს შეაქცევდა ხოლმე და ატირდებოდა.

— დედაკაცო, რა დაგემართა?—მიმართა გაჯავრებით დოლამ, როცა ვერა და ვერ იქნა ხმა ვერ ამოაღებინა.—დაგიშავა ვინმე რამემ, ენა ამოგჭრესთუ რა არი?

პასუხად კიდევ, დუმილი იყო.

— ადამიანო!—შეაჯანჯღარა დოლამ ბოლა.—თქვი რაღა, რა დაგემართა, თორემ ამაზე მეტი აღარ შემიძლიან.

ბოლა ატირდა.

— ბადილაურიანთ ქეთომ ხომ არ გაწყენინა კიდევ.—იკითხა ზრუნვით ბოლას ტირილით გულმოლბობილმა დოლამ, ცოტახნის სიჩუმის შემდეგ.

ბოლას ზრუნვის კილო ნემსებივით გაეყარა გულში და სიბრაზისაგან თვალები თვალები გაუნათდა.

— ქეთოს ხსენების ღირსი კი ხარ?—დაუყვირა ქმარსა და ზურგი შეაქცია.

დოლა ბოლის სიტყვებმა გაოცა,—რა ვქნაო, იფიქრა, ჯერ ისევ გუშინ არ მეხვეწებოდა, ქეთოს ჯავრი ამომყარეო?...

თავი გააქნ-გამოაქნია, ვერაფერს მიმხვდარიყო.

ცოლმა შენიშნა ქმრის მოძრაობა და ელვის სისწრაფით მოაძახა: ტაბუკაანთ ქვრივი მაიგონე, ტაბუკაანთ ქვრივიაო.

დოლა გაწითლდა, ბოლა მეორე ოთახში გავიდა.

დოლას თვალწინ წარმოუდგა კოხტა ქვრივი, რომელსაც უკვე ერთი თვე იყო, რაც შესტრფოდა. იმ დღიდან რაც თავის ცოლის ტანის აგებულობას მუშტრის თვალით გადახედა და სრული სიმახინჯე დაინახა, ველარ მიესვენა. პირველ თვალის ახელისას, უნებლიედ აღძრული ზიზღი ცოლისადმი ველარ გაქრა და ველარ. მართალია დამალა, სულის მოძრაობა სახეზე აღარ ეტყობოდა, ცოლსაც დაუტკბა და დააშოშმინა, მაგრამ ველარ შეჰრიგებოდა იმ აზრსა, რომ სარეცელზე ქალის ტანის მაგივრად, რაღაც უზნექო მორის მსგავსი უნდა სწოლოდა. იშვიათად თუ დაწვებოდა ხოლმე თავის თანამეცხედრესთან, ეჭვი არ აიღოთ, თორემ მეტი წილი სულ ცალკე ეძინა. ბოლას ეუბნებოდა ბევრი საქმე ძალიან მქანცავს, შენ გენაცვალე, შენთან ნუ გამიშლი ლოგინს მეორე ოთახში დამიგე, მოსვენებით მინდა ვიყოო, თან ლოყებზე ალერსიანად ხელს უსვამდა, ნამდვილ მიზეზს არ მიმიხვდესო, ისე კი ფიქრობდა, ისევ მორი დავიწვინო ამის ნაცვლადო, ხელებს მაინც არ მომხვევსო და როცა გაიხსენებდა ცოლის მოხვეულ ხელებსა და კოცნასა გული ერეოდა, როცა ბოლა ეტყოდა ხოლმე შენ მკერდზე ველარ ვთბები, უგულოდ მექცევი და ვიყინებიო, პასუხად ხმა მაღლივ ეტყოდა, გეჩვენებაო, გუნებათ კი ნატრულობდა, ოჰ, ღმერთო, ჩქარა გაყინე და მომაშორეო.

ახლის ძებნა დაიწყო და იპოვა. ტაბუკაანი ქვრივის სახესა და ტანის აგებულობა—მოქნილობაზე ბევრი ქალი არ იტყოდა უარსა. დოლას პირველ ნახვაზევე შეუყვარდა და დაემონა. თითქმის ყოველ დღე დაიარებოდა ქვრივიან. მიდიოდა ისეთ დროს, როცა სოფლის სახლებში იყო შეკრებილი და სადილობდა. ქვრივიც დიდის სიამოვნებით ეგებებოდა კომისარსა, შვილი არა ჰყავდა და პატრონი მჭირიაო, ამბობდა გულში, მაგრამ ჯერ გაბედული ნაბიჯი მაინც
მატარებლის'', უნდა იყოს—,,სახელმა
ვერ გადადგა, თუმცა დოლა დიდ ცხოვრებას ჰპირდებოდა, ხალხისა სცხვენოდა. დოლა კი თავის მხრივ ფიქრობდა, ფული ჩეჩქივით მოდისო; ზედმეტ ხარჯს წაკაწერ სოფელს, რა შავ ქვას გაიგებს, ჩემიაო. სულ ერთი არ არის განა მისთვის? სხვა გაყვლიფავს თუ მეო.? მოჰკლავენ ვისმეს, მკვლელს დავმალავ ფულს მომცემსო. ჯარიმას გადავახდევინებ ვისმეს სოფლის სასარგებლოდ, ვინ მომკითხავს ჩემი არ არისო. ეს კომისრობას მე თავის დღეში ვერავინ გამომაცლის ხელიდან (დარწმუნებული იყო) და ორი ცოლის შენახვა რათ გამიძნელდებაო (პირველი ცოლის თავის დანებებას ვერ ჰბედავდა). ხალხი ილაპარაკებს, ილაპარაკებს ჩემს ორ ცოლიანობაზე და დაჩუმდებაო. ჩემ პირველ ცოლს მიუგდებ ერთ ორ ლუკმა პურს დეე ჭამოს მადლია, მითომ ძაღლი შემიხახია, და მეორე ცოლთან ვიცხოვრებო.

მაგრამ ჯერ აქნობამდე დოლასათვის საქმე სასურველად არ მიდიოდა და ნაფიქრი ოცნებად რჩებოდა ცოლისათვის ჯერ ვერ ეთქვა თავის გადაწყვეტილება, ვერ ჰბედავდა. ეხლა ცოლს თვითონ გაეგო და არ იცოდა, როგორ დატრიალდებოდა საქმე. დოლა ჯერ არ იყო ამ შემთხვევისათვის მომზადებული და ცოტა არ იყოს ჩაფიქრდა. ფიქრმა ვერაფერ დასკვნამდე ვერ მოიყვანა და ხელი ჩაიქნია, ყველაფერი ბედზე მიაგდო. მეორე ოთახში გავიდა ცოლის სანახავად. ოთახში შესვლისთანავე იმ კედელს მიაჩერა თვალი, საცაა იარაღი ეკიდა, ვითომდა იარაღის დასათვალიერებლად მოვედიო, ცოლისა მაინც სცხვენოდა და უნებლიედ ერიდებოდა. იარაღებში რევოლვერი ველარ ნახა, გაჰკვირდა. მიიხედ-მოიხედა, ცოლიც სადღასაც წასულიყო, ალბათ კაი გუნებაზე დადგაო, სთქვა დოლამ და გარეთ გავიდა იმ ფიქრით თუ სად მიიკარგებოდა ის რევოლვერიო.

დერეფნის ბოძს მოეყრდნო და თვალი სივრცეს გაუყოლა.

— დოლა!—დაიძახა,—ეზოში შემოსულმა მილიციელმა—შენი მეუღლე, ტაბუკაანი ქვრივს მიუვარდა ლევორვლითა. ბევრი ვეხვეწე და ვერ მოვაშორე. დაჭერით კი შენის ხათრით ვერ შევბედე.

— რაო? მიუვარდა?—წამოიძახა დოლამ და სახეზე ალმული აჰვარდა.

დიდხანს აღარ დაუყოვნებია, მაშინვე ტაბუკაანი ქვრივისკენ გაექანა. ღრმად გაედგა ფესვები ახალ სიყვარულს დოლას გულში და, ვინც უნდა ყოფილიყო არავის შეარჩენდა ქვრივის გაბიაბრუებას.

ტაბუკაანთ ქვრივის კარმიდამოზე ხალხს თავი მოეყარა და ერთი გნიასი გაჰქონდა.

გაალმასებულ ბოლას, ხელში რევოლვერი ეჭირა და ქვრივის სახლის დერეფანში გადი-გამოდიოდა და თან დრო გამოშვებით უძახდა ქვრივსა: გამოდი რაღა, გამოდი! შე კახპა, უნამუსოო!

ქვრივს რაღა გამოიყვანდა. სახლის კარი შეეკეტა და ბნელ კუნჭულში უფრო სირცხვილით, სანამ შიშით, ძალზე კანკალდება.

ბოლა რევორვლით ხალხსაც ემუქრებოდა დრო და დრო, არ მომეკაროთ თორემ თქვენთვისაცა მაქვს ტყვიაო.

ხალხი სრულიადაც არ ფიქრობდა ხელის შეშლას. სეირს უცქეროდა.

— ეე!—იძახდა ზოგი ერთი—აი მაგაზეა ნათქვამი, დედაკაცმა თუ გაიიწია ცხრა უღელი ხარიც ვერ აჯობებსო.

დილა რომ მოვიდა, სეირის ყურებით გართულმა ხალხმა ვერ შეამჩნია.

— როგორ არ გცხვევიანთ?! ვაჟკაცნი არა ხართ?—დაუყვირა მამაკაცებს კომისარმა.—რომ ერთი დედაკაცი ვერ დაგიმორჩილებიათ.

— კომისარი! კომისარი! დაიყვირა ერთმა და სიტყვა კომისარმა ყველას პირები შემოიობინა. ბევრი დაფაცურდა და ბოლოსკენ გაიწია, მაგრამ დილას აღარავისთვის დაუცდია. სწრაფად დაიმორჩილა რევოლვრიანი ცოლი და კინწისკვრით შინისკენ გააგდო.

მეორე დღეს უკვე მთელი სოფელი ლაპარაკობდა, კომისარმა აჰკიდა გუდა-ნაბადი თავის ბოლას და სამუდამოდ სამშობლოში გაისტუმრაო. ბოლას სამშობლო კი იმავე სოფლის მეორე უბანი იყო.

ინ—ბანი

(დასასრული იქნება)

ფთავე დაიცვას. ის უიმისოდაც იოლად მიდის, მაგრამ რა ზარალი მოსდევს ამ ცუდ ჩვეულებას, არ იცის; და ამ წერილის მიზანიც სწორედ ის არის, რომ გადმოუშალო თვალ წინ ყველა ის შედეგი, რომელიც მოსდევს უსუფთაობას და სიბინძურეს. კანი ისეთივე ორგანო არის ჩვენი სხეულისა, როგორც სხვა ნაწილები. მაგალითად, თვალი, ყური, კუჭი, გული და სხვა. ყველა ამ ნაწილს განსაზღვრული მიზანი აქვს და სამუშაო. თვალი ხედვისთვის არის, ყური სმენისთვის, კუჭი საჭმლის მოსანელებლად, გულ-სისხლის მოძრაობისთვის, ჯანსაც თავის დანიშნულება აქვს. უთვალოდ, უყუროდ, შეიძლება ცხოვრება, უკანოდ კი არა; სოფელში ხშირად მინახავს დაფუფქული, ანუ დამწვრები; თუ კანი ძალიან არის დამწვარი სიცოცხლე შეუძლებელია, ეს სოფელშიაც ყველამ იცის.

მაშასადამე, თუ კანს ეგეთი მნიშვნელობა ჰქონია და ზოგჯერ უფრო მეტიც ვიდრე სხვა ნაწილებს უნდა დავიცვათ იგი, მოუაროთ მას.

მოვლაც სწორედ ის არის, რომ გავიბანოთ ხოლმე ტანი და მუდამ სუფთად შევინახოთ.

მეცნიერება გვასწავლის, და ჩვენც ვიცით, რომ კანზე მუდამ ოფლი და სიმსუქნე გადმოდის, ამას ემატება გარეშე სხვა და სხვა ჭუჭყი; როცა ეს ჭუჭყი ბევრი ხანი რჩება კანზე ამ უკანასკნელს მუშაობას უძნელებს და ხიფათს უმზადებს მთელს სხეულს.

ჭუჭყიან კანზე ადვილად ჩნდება სხვა და სხვა მკბენარი, ტანის ქექვა და ქავილი, ქავილს მოსდევს კანის ავადმყოფობა. ქავანა, ძირძიტა, მუნი, ელქუნი, ქეცი და სხვა.

სოფელში ბევრჯელ მოსულან ჩემთან წამლისთვის მკბენარის წინააღმდეგ. რა უნდა მერჩია? მე ვეუბნებოდი: აიღე საპონი და თბილი წყალი და ტანი გაიბანე, მაგრამ მე ვგრძნობდი, რომ ჩემი რჩევა ასრულებული არ იქნებოდა და არც სრულდებოდა, რადგან გლეხს ჰგონია, რომ მკბენარი აუცილებელია და უკბენროდ არავინაც არ არის, ისე როგორც უჭიოთ, მუცელში. თანახმად ამ შეხედულებისა ის ურიგდება თავის ბედს, მხოლოდ თუ ძალიან შეაწუხებს ტანის ქავილი მაშინ მოვა გონს და იფიქრებს რომელიმე ზომის მიღებას.

აგრეთვე კანის სატკივრები მუნი, ელქუნი (სირსველა) სიქაჩლე ძალიან გავრცელებულია სოფელში მეტადრე ბავშვებში. უბედურებაც ის არის, რომ ამ სატკივრებს გადამდები ხასიათი აქვთ და მთელ ოჯახს მოედება ხოლმე. მართალია, სიკვდილით არც ერთი სატკივარი არ ემუქრება, მაგრამ ეს იმას კი არა ნიშნავს რომ უნდა შევურიგდეთ იმ ტანჯვას და და მოუსვენრობას, რომელსაც განიცდის ავადმყოფი.

აღსანიშნავია ერთი გარემოება, ვისაც ჩვეულებად აქვს ორ კვირაში მაინც ტანის გაბანვა, იმას მუდამ კანი სუფთად აქვს და განთავისუფლებულია, ზემო აღნიშნულ ავადმყოფობისაგან. მაშ თუ ესეა საქმე, რად უნდა ვიტანჯებოდეთ სულ ტყუილა-უბრალოდ განა არ გვეყოფა სხვა მრავალნაირი ტანჯვა და წვალება ლუკმა-პურის მოსაპოებლად! რაღა დაბრკოლება და ხელის შეშლა გვინდა ამ უმთავრეს მიზნის მისაღწევად ჩვენი ცხოვრებისა!

წამოიდგინეთ მართლა სოფლის მუშა გახურებულ ყანის მკაში თუ ავად არის მუნით: წამდაუწუმ უნდა შესდგეს, რომ აქა იქ ტანი მოიფხანოს და ისე რომ ზოგჯერ სისხლსაც დაადენს; ღამე კიდევ ძილი უფთხება, სულ იმ ქავილის გამო, როგორ უნდა იმუშაოს მეორე დღეს იმ მუშამ თუ ღამე რიგიანად არ დაისვენებს და არ მოიკრებს იმ ძალ-ღონეს, რომელიც საჭიროა მძიმე მუშაობისთვის! ავიღოთ სხვა და სხვა მუწუკი: ზოგი ხელის განძრევას უშლის, ზოგი ჯდომას, ზოგი წოლას და ერთობ ამცირებს მუშაობის ნაყოფს.

ამას ყველაფერს ადვილად ავიცდენდით თავიდან რომ ჩვეულებად შემოგვეღო ორ კვირაში ერთხელ მაინც აბანოში სიარული; არც ისე ძნელია აბანოს მოწყობა როგორც ეს სოფლად ჰგონიათ. ნათქვამია: თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელით იჭმევაო, თუ დავრწმუნდებით აბანოს საჭიროებაში და აუცილებლობა ჩვენთვის, ფულსაც ვიშოვნით და ცოდნასაც, რომ საქმე სისრულეში მოვიყვანოთ ყველას საკეთილდღეოდ.

ბანაობას ამის გარდა სხვა გავლენაც აქვს ჩვენზე; კანის სისუფთავეს მოსდევს სუფთა საცვლები, სუფთა ქვეშაგები, სისუფთავე ოჯახში და საზოგადო სუფთა ცხოვრება; მთელი რიგი ავადმყოფობისა, რომელიც შედეგს წარმოადგენს ჩვენ უსუფთაობისა და დაუდევრობისა, სხვა და სხვა სახადები, მუცლის ჭია, ხოლერისა, და მრავალი სხვა, აცილებული იქნება თავიდან; ეს გარემოება კი ისეთი სარგებლობას მოგვიტანს ჩვენ რომ ვერც კი განიზომება.

ექიმი ნ. ია—შვილი.

სასარგებლო მცენარენი

ნიგვზის-ხე ჩვენში თითქმის ყველგან ხარობს, ნოტიო ადგილებშიაც და ხმელ ხრიოკებშიაც, შინაურადაც და გარეულადაც. მის გაშენება-გამრავლებას ხელს უწყობს არა თუ მარტო ადამიანი არამედ ის ფრინველებიც, რომლითაც უყვართ მისი ნაყოფი. მოგლეჯენ სადმე კაკლიდამ, წაიღებენ ჰაერში და მაღლიდან ძირს ჩამოაგდებენ, რომ გატყდეს და ლებანი ამოკენკონ. ხშირად სურვილი არ უსრულდებათ კაკალი რჩება სადმე მყუდროზე, ზედ წვიმა-წყლის დენით მიწაში ეხვევა, ღვივდება, ფესვებს იბამს და აღორძინდება შიმალად და მერე ლამაზ კოჩრიან ხედაც იქცევა, ხოლო 4—5 წლისა უკვე იბარდნება და იტკვიფება ნაყოფით.

ქართველს იმ თავიდგანვე ენუკება კაკლის-ხე, მეტადრე მისი საოცნებო შრიალი და ხშირი ჩრდილი ზაფხულში, მისი გემრიელი ნაყოფი.

ამიტომაც ყველა სცდილობს თავისი კარმიდამოზე თუ ბაღ-ვენახში ჰქონდეს ეს ხეხილთა შვენება, რომელიც ხშირად უზარმაზარ ხედ გადიბორჯღდება ხოლმე და პაპანაქებაში, თავის სიგრილეში გამოასვენეს არა თუ ადამიანს არამედ მთელ ნახირსაც-კი, თუ მინდვრის არეზეა ამართული.

ნიგვზის ხეს სარგებლობა მოაქვს არა თუ მარტო თავის ჩრდილით, არამედ თავის ნაყოფითაც, თავის ხითაც და თავის ფოთლითაც.

მის ნაყოფში ძალზე ბევრია მარგებელი ნაწილი, ჯანისა და ღონის მიმცემი, გამასუქებელი. მარგებელია მისი ჭამა-ლებნად, ამაზე მეტად-კი მსუყეა მისი სურნელოვანი მოყვითალოდ ბრწყინავი ზეთი ანუ, როგორც ჩვენში იტყვიან, ნიგვზის ზეთი. ერბო თუ კარაქი ნოყიერებით მას ვერ შეედრება.

ნიგვზის-ზეთის ხდა უხვად იციან საინგილოში: ლებანს ახალებენ ცეცხლზე, ნაყვენ ფეხით სამუშავებელ ,,დინგში'' (ერთგვარი ხის ფილია), მერე დანაყილს ან ინახავენ ლობიოს თუ სხვა საჭმლის შესაზავებლად, ან პურთან შესატანებლად, ან-და ხდიან ზეთს და საზამთროდ ინახვენ ქილებში. იტყვიან, ზეთი სტომაქის სახსარიაო და გულის კარგი მალამოო.

ძვირად ფასობს კაკლის ხის ფიცარიც, მეტადრე კაკლის გულისაგან გამოთლილი ან მის კუნძებისაგან. უკეთესი ავეჯეულობა, უფრო-კი მაგიდები კეთდება კაკლის კუნძებისა და გულისაგან.

კაკლის ფოთლით და ქერქით მზადდება ერთგვარი საღებავი. აგრეთვე სამკურნალო სითხე. თვითონ ფოთოლი ითვლება ოფლის მომგვრელ წამლად: სიცხიანს ჩააწვენენ ხოლმე ფოთოლით მოფენილ ლოგინში, ზედაც და გარეშემოც შემოუწყობენ ფოთოლსა და ავადმყოფს მალე ნიაღვრად წასკდება ოფლი.

ნიგვზის ხე სწორედ სიმდიდრის წყაროა და ისეთი, რომელსაც არც მაღაროების თხრა უნდა, რომ შიგ იპოვო მსგავსად ოქრო-ვერცხლისა თუ სხვა ლითონისა, არც დიდი მოვლა და შრომა.

ამ მხრივ წასაბაძია საინგილო, საცა არა თუ მარტო სახელმწიფო გზა, არამედ სოფლებისაც მორგულია კაკლის ხეებით და დიდ სარგებლობას აძლევს მხარეს ეს ჩარიგებული ნიგვზის ტყე.

მიდიხარ ამისთანა გზაზე პაპანაქებაში და ზემოდან გჩრდილავს მშვენიერი ცოცხალი საჩრდილობელი, თან კიდეც რაღაცას თითქო გიჩურჩულებს, გამხნევებს, დაღალულობას არ გამჩნევებინებს.

საინგილოსებრ თუ მოვრგეთ სახელმწიფო გზები თუ გინდ თბილისიდან ქიზიყ-თელავ-ლაგოდეხამდე, თბილისიდან დუშეთისკენ, იმერეთისკენ, ბორჩალოსკენ, ასეთვე ქუთაისიდგან ან არტანუჯიდგან სხვა და სხვა მხრისკენ, ჩვენს ხაზინას რამდენიმე წლის შემდეგ მრავალ მილიონოვანი შემოსავალი ექნება იმის სიკეთეს-კი ვინ გამოზომავს, რაც ამგვარ გაშენებულობით წილად ხვდება თვით ადგილობრივ ხალხს ნაყოფითა თუ ჰაერს გაკეთილმშვენიერებით, ზავებულობით.

მე ვფიქრობ, საჭიროა ბრძანება გაიცეს, ყველა ერობები და სოფლები ეხლავე შეუდგნენ ამ სასარგებლო მცენარის დარგვას თავიანთ მისადევრებში, აგრეთვე იმ შარა გზებზე, რომელიც გაივლის მათს მიდამოზე.

პაპა ვაშლის ხეს ამყნობდა. ბალღმა ჰკითხა: რათ ამყნობ, შენ ხომ ვერ მოესწრობიო მაგის ნაყოფს. უპასუხა: მე ვერ, ჩემი შვილები-კი დასტკბებიანო და მეც მომიგონებენო ლოცვა კურთხევით. მივბაძოთ ჩვენც იმ ბრძენ პაპას.

მ. ჯანაშვილი

მეხილეობისთვის.

6.

წინა წერ-ლებშიც იყო მოხსენებული, რომ ხეხილის მტერი მრავალზე უამრავია. ამ პატარა წერილებში ყველა ავადმყოფობის და მწერის აღწერა შეუძლებელი ჰხდება, ამიტომ ვილაპარაკოთ უმთავრესებზე და მოკლეთ.

გამოცდილი მებაღის თვალი ადრეულ გაზაფხულზე ადვილათ შეამჩნევს, რომ ფოთლის და ყვავილის კოკრები დაიფარება ხოლმე პაწაწა ნახვრეტებით საიდანაც წვენის წვეთები ოდნივა ქვანავენ, ამ გვარად დაზიანებული კოკრები აღარ იშლებიან, ნელნელა ფერსა ჰკარგავენ და ხმებიან, მაგრამ რომ გადაშალოთ ეს კოკრი შიგ ვერც მატლსა და ვერც სხვა რაიმე მწერს ვერა ჰნახავს კაცი და გამოუცდელმა მებაღე—მეურნემ შეიძლება ეს ამინდს დააბრალოს ან ნიადაგს, მაგრამ რასაკვირველია შემცდარი იქნება ვინაიდგან ამ ავადმყოფობის მიზეზი არის ერთი ჭია ხარაბუზა. რომელსაც ლათინურად რჰინხიტეს პაუკსილუს ჰქვიან. მისი გარეგნულ შეხედულები ასეთია: ტანი მოლურჯო, ლურჯი ფერი დაჰკრავს, ცხვირი წვრილი და გრძელი აქვს. სწორედ ეს მწერია რომელიც აფუჭებს და სიცოცხლეს უსწრაფავს კოკრებს, მაგრამ მისი მავნებლობა მარტო აქ არა ჩერდება მისი შთამავალი მცენარეს სხვა გვარადაც აზიანებს. ზაფხულის განმავლობაში დედა ცხვირგძელა, კვერცხებსა სდებს ფოთლის ყუნწში და იქიდან გამოსული ჭია მიძვრება ფოთლის ყუნწის კანში და იქ იკვებება იმ წვენით, რომელსაც მცენარე ფოთოლს აძლევს მიწიდან და თავის მხრით კი ფოთოლი ამუშავებს. როგორც სჩანს ეს მატლი შიგ კარებში უდგა მცენარის ფოთოლს და საშუალებას არ აძლევს მას შეასრულოს ის მოვალეობა, რაც მას დაკისრებული აქვს. ფოთოლიც რაკი ვერ იღებს შესაფერ საზრდოს და თითქმის სულმთლადა ჰშორდება ხის საერთო ცხოვრების მსვლელობას ჰხმება და სულმთლადა ჰშორდება მას. მატლი კი ფოთოლს ჩამოჰყვება ხოლმე და ზამთარს მიწაში ატარებს. როგორც ჰხედავთ ამ ჭიას დიდი ზარალის მიყენება შეუძლიან ბაღისათვის, უკანასკნელ გამოკვლევით ეს მწერი შემჩნეულია და გავრცელებულია მთელს ქართლ კახეთში და ბორჩალოში. მეტადრე გორის მაზრაში და მესხეთ ჯავახეთში. იგი უმთავრესად ემტერება ვაშლის და ზოგადათ კომშსაც.

აშკარაა მას ჩვენმა მეურნემ სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს და არავითარ შემთხვევაში არ დაიზაროს და მასთან ბრძოლა, შემდეგისათვის არ გადასდოს, რაკი ერთხელ შეამჩნევს.

1) ადრეულ გაზაფხულზე ჭია ხარაბუზა (ცხვირგრძელა) უნდა ჩამოიბერტყონ.

2) კოკრები სანამდე შესივდებოდეს კირის რძე უნდა ესხუროს და

3) ზამთარში ან გვიან შემოდგომით ბაღი უეჭველად უნდა გადიბაროს.

თუ ეს სამი პირობა შესრულებულ იქმნა აშკარაა რომ ბაღი ამ მწერისაგან შემდეგისათვის მაინც დაცული იქმნება და მეურნეს კი ერთი და ორი ათასი კიარა არამედ ათეულებით შეემატება.

მებაღე.

კორესპონდენცია.

ლანირ-ჭაგანი.

ქართულ ჟურნალ-გაზეთების, თითქმის ყოველ ნომერში იბეჭდება წერილები სოფლის გაჭირვებისა თუ მდგომარეობის შესახებ ყოველი წერილი აღნიშნავს ამა თუ ის საჭიროებას სოფლისას და მიუთითებს, ვისაც ჯერ არს, მის გაკეთებას, შეკეთებას. მაგრამ სიტყვა სიტყვად რჩება და სოფელი კი განაგრძობს ძველებურს ცხოვრებას. იშვიათი შემთხვევაა სოფლისათვის ზრუნვა. ისევ თვით სოფელი თუ შესძლებს თავისივე ძალღონით რისამე გაკეთებას, თორემ დღევანდელი ერობები და სხვა სასოფლო დაწესებულებანი ნაკლებათ იტკივებენ თავს სოფლისათვის. დღეს ამ ეკონომიურ დაქვეითების დროში, როდესაც სოფლელთ არა აქვთ ტანსაცმელი ფეხსაცმელი და სხვა უპირველეს მოთხოვნილების საგნები, სოფელი თითქმის სრულებით მოსწყდა ყოველგვარს კულტურულ მუშაობას, რისი მიზეზიც არის ყოველდღიური გაჭირვება, ყოველდღიური ძიება სხვა და სხვა საგნებისა, ურომლისოდაც ადამიანს არ ეცხოვრება. დღევანდელმა, ასეთმა აუტანელმა ცხოვრების პირობებმა, სოფელში მოადუნა და ჩაჰკლა სწრაფვა კულტურისაკენ. მაგრამ არის გამონაკლისი.

სოფლები, რომელთაც ადრე იფიქრეს თავიანთ მდგომარეობაზე, ადრე იზრუნეს თავიანთ თავზე, და წარსულის ნამოქმედარის წყალობით დღეს წინ მიიწევს, ბევრს კარგსა და სასარგებლო საქმეებს აკეთებენ. მაგალითად ავიღოთ ლანირ-ჭაგნის თემი. ეს სოფლის საზოგადოება სულ ორიოდე წელიწადია, რაც დაარსდა და ამ ხნის განმავლობაში ბევრის გაკეთება შესძლო თავისის ძალღონით.

ამ საზოგადოებას აქვს თავისი კოოპერატივი, რომელიც თამამათ შეიძლება ითქვას, ქუთაისის მაზრის სოფლებში საუკეთესო კოოპერატივია და სოფლისათვის ძალიან ბევრსა ზრუნავს. სწორედ ამ კოოპერატივის ზრუნვითა და თანხით საზოგადოებამ ააშენა ფოსტა-ტელეგრაფისათვის მშვენიერი სახლი, რომელშიაც მოთავსებულია ფოსტა; ააგო აბრეშუმის პარკის ფარდული, სადაც მცხოვრებნი ასაღებენ თავიანთ მოწეულ პარკს; გაკეთდა აგურის საწვავი ქარხანა, რაც დიდს დახმარებას უწევს სოფელს, მით რომ იქვე ახლოს ეშოვებათ აგური და მცხოვრებთ არ უხდებათ 10-15 ვერსის მანძილიდან აგურის მოტანა და ამასთანავე იაფიც უჯდებათ; აშენდა აგრეთვე კრამიტის საწვავი ქარხანა, დაარსდა სამკითხველო და სხ.

ამ სოფელს ადრე ჰქონდა სკოლა მაგრამ სკოლისათვის შენობა არ ვარგოდა, ახლა შენობა უკვე გადაკეთებულა და ოთხკლასიანი უმაღლესი სასწავლებელი მოთავსებულია დიდსა და მკვიდრ შენობაში. ამავე სოფელს აქვს შემოსავალი ბაზრიდან საცა „იარმუკობა" იციან სამშაბათობით.

ყველა ეს დაწესებულებანი არსდებოდა თანდათან, ყველას სიამოვნებას გვრიდა, აგრძნობინებდა მათს მნიშვნელობას, მაგრამ ამ სოფელს აკლდა სახალხო სახლი ურომლისობაც ჩრდილავდა ყველაფერს და უკვე დადგა ის დრო, რომელმაც შეაგნებინა სოფელს სახალხო სახლის საჭიროება და დაიწყო მასზე ზრუნვა და მისი შენება. უკვე არსებობს სახალხო სახლის საამშენებლო გამგეობა, რომელმაც იტვირთა მთელი ამ საქმის სიმძიმე. შენდება სახალხო სახლისათვის აგურის შენობა, რომელშიაც მოთავსებული იქმნება:

თეატრი, სამკითხველო, შემნახველ—გამსესხებელ საზოგადოების ბანკი, სოფლის სათემო ერობა, რამოდენიმე ოთახი სოფლის სტუმართათვის, მაგალითად მსახიობთათვის, ერობის წარმომადგენლებთათვის და სხვათა, ამ შენობაში მოთავსებულ დაწესებულებათ თავთავისი ოთახები ექნებათ.

ეს უზარმაზარი შენობა, შენდება ადგილობრივი წარმოების შეწევნით. კოოპერატივმა გადასდო თანხა, აგური და კრამიტი ამ საქმისათვის, სოფელი გულმხურვალეთ მოეკიდა ამ საქმეს და მრავალ რიცხოვან კრებაზე ერთხმად გამოსთქვა სურვილი ამ საქმის დასახმარებლათ. გადასწყდა დახმარება გაეწიოს სახალხო—სახლის საამშენებლო გამგეობას, რითაც შესაძლებელია. დღეს უკვე იკრიბება შემოწირულებანი, მოდის შემოწირულებათ, ხის მასალა, ქვა და ქვიშა, უფასო მუშაობა, როგორც კაცით აგრეთვე ხარითა და ურმით, სწირავენ ფულსა და სხვა.

სახალ. სახ. საამშენებლო გამგეობა უკვე შეუდგა მასალის დამზადებას და ამ მოკლე ხანში დაიწყება შენება.

ვუსურვებ გამგეობას ნაყოფიერ მუშაობას, და ამ საქმის დაგვირგვინებას.

ასეთი საქმე მისაბაძია სხვა თემებისათვისაც და თუ ლანირ-ჭაგნის საზოგადოებამ ეს საქმე ღირსეულად დაამთავრა, იმ შემთხვევაში მეზობელ თემებიც მიჰბაძავენ მას. საამშენებლო გამგეობას დიდი მოვალეობა აქვს დაკისრებული; ის პასუხისმგებელია თავის თემის წინაშე, პასუხისმგებელია მეზობელ თემთა წინაშე და აგრეთვე თავის სინიდისის წინაშეც და მე ღრმათ ვარ დარწმუნებული, რომ საამშენებლო გამგეობა ფარხმალს არ დაჰყრის და ამ დიდ საქმეს ბოლომდის მიიყვანს.

კაკო.

რედაქტორი ნ. კაიშაური.

მატარებელთა მ მოსვლა.

ლვინობისთვის 10-დან 1920 წ.

თბილისიდან გადის.

№ 3	ბათომისაკენ	10 ს. 58 წ.	დილ.
	ბათომში ჩადის	7 ს. 27 წ.	დილ.
№ 9	ფოთისაკენ	5 ს. 34 წ.	დილით
	ფოთში ჩადის	10 ს. 45 წ.	დილ.
№ 7	ბათომისკენ	10 ს, 28 წ.	საღ.
	ბათომში ჩადის	5 ს, 52 წ.	საღ.
№ 19	ბორჯომისკენ	3 ს. 19 წ.	დღ.
	ბორჯომში ჩადის	11 ს. 25 წ.	დღ
	ხალოდლისკენ	7 ს. 20 წ.	დილ.
№ 4	სანაინისკენ	8 ს.	დილ,
	სანაინში ჩადის	5. ს.	საღ,
	კახეთისკენ	8 ს. 30 წ.	დილ.

თბილისისკენ მოდიან.

№ 10	ფოთიდან	3 ს. 51 წ.	
	თბილისში მოდის	9 ს. 16 წ.	დილ,
№ 4	ბათომიდან	4 ს. 9 წ.	დღ.
	თბილისში მოდის	1 ს. 1 წ.	დღ.
№ 8	ბათომიდან	11 ს. 37 წ.	ღამ.
	თბილისში მოდის	7 ს. 33 წ.	ღამ.
№ 20	ბორჯომიდან	12 ს. 22 წ.	ღამ.
	თბილისში მოდის	7 ს. 47 წ.	დილ.
	სალოდლიდან	12 ს. 10 წ.	დილ,
№ 4	სანაინიდან	7 ს. 30 წ:	დილ.
	თბილისში მოდ.	3 ს. 20 წ.	დღ.
	კახეთიდან თბილისში მოდ	8 ს. 20 წ.	ს.

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო

ბეითალი-ექიმი

ი. გ. ქუთათელაძე

იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავადმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს, ცხენის ქოთაოს (საპს) ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ჭიით ცხვრის სასულე—მილის ავადმყოფობას ვეიმობ ,,ნემანის და ვესსელის'' მეთოდებით. ვიძლევი დარიგებას ,,ზოო ტეხნიაზე'' (საქონლის მოვლა მოშენება). დილის 9—10 საათ. და დღის 2—4 საათ.

14—1. ბელინსკის ქუჩა, № 39, ბინა 3.